თბილისის “დინამოს” გამარჯვება

გუშინ, ლენინგრადში შესდგა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ თბილისის “დინამოს” და ლენინგრადის “ზენიტის” გუნდები.

თამაში დაიწყო სწრაფი ტემპით და უკვე მესამე წუთზე პანიუკოვმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა პირველი ბურთი. პირველი ნახევრის დასასრულამდე ანთაძემ, ღოღობერიძემ და ზაზროშვილმა გაიტანეს თითო ბურთი და ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 4:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი დაიწყო ისევე ცოცხალი ტემპით, მაგრამ შემდეგ თბილისელებმა მოადუნეს თამაში. ამით ისარგებლეს ლენინგრადელებმა და შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა. თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით, ანგარიშით 4:1.

“კომუნისტი”, 30 ივნისი, 1948 წ.